

თემა 3.

ლიტერატურის თეორია

თეორიები წარმოიშობა მაშინ, როცა ნებისმიერი მეცნიერება იწყებს თავის საგნის, მეთოდების, პრაქტიკების, მოქმედების არეალისა და კვლევის შედეგების სისტემატურ განზოგადებას. თეორია ოპერირებს არა საგნებით, არამედ ცნებებით.

დავიწყით ცნებით ლიტერატურა, რომელიც თვით კომპოზიციის *Literaturtheorie* - ლიტერატურის თეორია შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს არ არის ერთმნიშვნელოვანი ცნება. ამ სიტყვის ხმარება შეიძლება სხვადასხვაგვარი გაგებით: ყოველდღიური ან მეცნიერული, ფართე ან ვიწრო, ზუსტი ან მიახლოებითი და ა.შ.

როდესაც ვცდილობთ განვსაზღვროთ თუ რა არის ლიტერატურა, ჩვენ უკვე ვიწყებთ თეორიაზე მუშაობას, რადგან ვცდილობთ გამოვკვეთოთ კვლევის, ანალიზის საგანი ანუ მოვახდინოთ ობიექტის კონსტიტუირება/ განსაზღვრა- ჩამოყალიბება.

ლიტერატურა (ლათ: *litteratura*) ისტორიულად მიმართებაშია დაწერილთან, რადგან ის რომაულ ანტიკურობაში იღებს სათავეებს. ამაში იგულისხმებოდა შემოქმედებაც/ პოეზია. ლიტერატურაში იგულისხმებოდა ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, რიტორიკა, მეცნიერება და სამართალი. ლიტერატურა უბრალოდ შრიფტთან დაკავშირებულ ანუ დამწერლობასთან დაკავშირებული მეცნიერული ცოდნის გადმოცემას გულისხმობდა და განსხვავდებოდა ხელოვნების სხვა ფორმისგან *pictura-* სურათი ანუ მხატვრობა, სახვითი ხელოვნებისგან.

უკვე მე-18 საუკუნეში განმანათლებლობის ადრეული ეპოქიდან იწყება განსხვავება “მშვენიერი მეცნიერებებისა” სხვა მეცნიერებებისგან, რომელიც ახარისხებდა ტექსტებს ორ ჯგუფად და ანსხვავებდა მხატვრულ ტექსტებს საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და იურიდიული ტექსტებისგან. აქედან მოდის ფრანგული ტერმინი

belles lettres (“მშვენიერი წერილები”), ბელეტრისტიკა, რომელიც გულისხმობს უპირველეს ყოვლისა ეპიკურ, დრამატულ და ლირიკულ ტექსტებს. გერმანული ტერმინი Schöne Literatur ანუ მხატვრული ლიტერატურა თანდათან შემოკლდა სიტყვით ლიტერატურა, რაც გულისხმობს მხატვრულ შემოქმედებასა და პოეზიას.

სიტყვა ლიტერატურა დღეს მრავალმნიშვნელოვანია. შესაძლოა იგულისხმებოდეს ასევე გამოყენებული ლიტერატურა=ბიბლიოგრაფია.

სიტყვა Primärliteratur (=ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა) ტავტოლოგიურია ისევე როგორც Sekundärliteratur (=გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი სამეცნიერო ნაშრომში). ამ სიტყვას benutzte Literatur (გამოყენებული ლიტერატურა) ვხვდებით აგრეთვე მაგ: საბუნებისმეტყველო ან იურიდიულ ნაშრომებში, სადაც ცხადია სამეცნიერო (და არა მხატვრული) ლიტერატურა იგულისხმება.

რა არის ლიტერატურა? ლიტერატურული ტექსტი. პოეზია და სინამდვილე.

ლიტერატურული ტექსტი/ ან ტექსტები წარმოადგენს ენობრივი ან სპეციფიკურად ლიტერატურული კომუნიკაციის საშუალებას.

ლიტერატურული ტექსტის სამყარო თავისებურ ფიქციონალურ ანუ გამოგონილ სამყაროს წარმოადგენს, რომელიც იმ დროის კანონებზე მაღლა დგას, რომელშიც ის წარმოიშვა, რომელიც საერთოდ დროს არ ემორჩილება, შეიძლება ითქვას თავისთვის არსებობს, მარადიულია.

ამ სამყაროს გააჩნია ძალა, რომელიც იპყრობს მკითხველს – ეს არის ენა, რომლის ძალმოსილებასაც ეძლევა მკითხველი ტექსტის სამყაროს რეცეფციის (აღქმისა) და გაგების პროცესში.

მაგრამ ლიტერატურულის გარდა არსებობს მრავალი სხვა სახეობის ტექსტი. თვით სიტყვა “ტექსტი” (textum) ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს “ქსოვილს”, “ზადეს”. მას დღევანდელი გაგებით მეტაფორული (ბერძნ: metapherein - გადატანა) მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს **სიტყვათა და წინადადებათა თანამიმდევრობასა და ურთიერთმიმართებას**. ამგვარად ტექსტის გაგება შესაძლებელია როგორც ”სიტყვათა და წინადადებათა ქსელი. ” მაგრამ დასაზუსტებელია რა სახის ტექსტს ვგულისხმობთ ჩვენ ამ დროს: არის ეს ზეპირი თუ წერით ფორმაში მოცემული, კომპიუტერულ ელექტროვერსიას თუ მოხსენების ტექსტს, იურიდიული კანონმდებლობის თუ რეკლამის, წერით, პრაგმატულ ტექსტს თუ ბიბლიის ან ქადაგების ტექსტს, შლაგერის (სასიმღერო) თუ ლიტერატურულ ტექსტს : ლირიკის, დრამისა თუ პროზაულ ტექსტებს და ა.შ.

ტექსტები წარმოადგენს აზრობრივ მთლიანობას, რომლებიც თემით, პრობლემით ან რაიმე შინაარსით, მაგრამ მუდამ რაიმე ფორმით არიან განპირობებულნი. ასეთ ტექსტებს საფუძვლად ყოველთვის ზემოქმედების მიზანი, ინტენცია უდევთ. იმისათვის რომ მკითხველამდე, მის ცნობიერებამდე დავიდეს, ტექსტი მუდამ სტრუქტურირებული უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ მას ჩვეულებრივ გააჩნია გარკვეული აგებულება, კომპოზიცია ან არქიტექტონიკა – დანაწევრება (შესავალი, მთავარი ნაწილი, დასასრული, თავებად და აზნაცებად დანაწევრება და ა.შ.). მას გააჩნია გამოცემის გარკვეული გარეგნული ფორმა: ლეი აუტი, ბექდვის ტექნიკა შრიფტის ტიპი, რომლებიც ნებისმიერი ხასიათის ტექსტში მიუთითებენ სხვა ტექსტებზე და მათთან კავშირში არიან (მაგ. პარაგრაფები, თავები, ან მოხსენებები რაიმე კრებულში). ადრესატზე ან პუბლიკაზე ორიენტაცია თავიათავად გულისხმობს სპეციფიკურ ტექსტუალურ თვისობრიობას /Textqualität), რომელიც შესაძლოა მდგომარეობდეს რაიმე ინფორმაციას (შეტყობინება) ან რაიმე ინნოვაციაში (სიახლემში), რაც გულისხმობს სპეციფიკურ პოლიტიკურ, სოციალურ, ისტორიულ სიტუაციას, რომელშიაც ეს ტექსტუალურობა შეიძლება შესაბამისად კონკრეტული ტექსტის სახით განივრცებოდეს.

იმდენად რამდენადაც ტექსტები - ცხადად(ექსპლიციტურად) თუ შეფარულად (იმპლიციტურად, ლატენტურად) ანუ ირიბად- სხვა ტექსტებზე არიან მიმართულნი და მათთან შინაარსობრივ/ თემატურ შეხებას ან სიტყვიერ თანხდომილებას ავლენენ, ისე თითქოს ისინი თავისებურ დიალოგს აგრძელებენ მათთან, შეიძლება საუბარი “ინტერტექსტუალობაზე”, რაც მიუთითებს სხვადასხვაგვარი ეპოქების ტექსტების ურთიერთმიმართებაზე - დისკურსებზე, რომლებიც აგრეთვე თემატურიც შეიძლება იყოს (როცა მოტივი სახეცვლილი სახით მეორდება და ა.შ.).

3.1. როგორც უკვე ავღნიშნეთ, არსებობს ტექსტების სხვადასხვა სახეობა ე.წ. “Textsorten”, რომელთა ძირითადი განსხვავება მდგომარეობს მათ ლიტერატურულ ან არალიტერატურულ ხასიათში. არალიტერატურული ან პრაგმატიკული ტექსტების სახეობები შეიძლება ძირითადი ნიმუშების მიხედვით განვასხვაოთ ანუ არის ტექსტი არგუმენტაციული თუ აღწერილობითი ხასიათისა, შეიძლება აგრეთვე მათი ამა თუ იმ სფეროსადმი მიკუთვნების მიხედვით განსხვავება(მაგ. მშენებრივი თუ პოლიტიკური), მედიების(არხების) მიხედვით, რომლებშიც ისინი რეალიზდებიან(პრესა; ჟურნალ- გაზეთები, რადიო, ტელევიზია), და აგრეთვე ადრესატის მიხედვით, რომელზედაც ისინი მიმართული არიან: (საქმიანი ინფორმაცია თუ რეკლამა). არალიტერატურული ტექსტები შეიძლება თავისებურ ენობრივ ქმედებებად წარმოვიდგინოთ (ანუ ქმედებად ენობრივ ფორმაში), რადგან ისინი გარკვეული სახით ანუ ფორმით რაღაც გარკვეულ მიზანს ისახავენ გარკვეული ადრესატის მიმართ.

ლიტერატურული ტექსტების თვისებების განსაზღვრა კი მარტივი არ არის, რადგან მკვეთრი ზღვარის გავლება სხვა სახეობებთან ხშირად შეუძლებელია. ამიტომაც გერმანისტიკაში ყველაზე ნათლად ერთი კრიტერიუმი მუშაობს, რომელიც ლიტერატურულ ტექსტებს განსაზღვრავს და განასხვავებს სხვა ტექსტებისგან. ეს არის როგორც უკვე ავღნიშნეთ მათი “ფიქციონალურობა” (Fiktionalität). სწორედ ამ

ცნებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ლიტერატურული ტექსტები ენობრივად გამოგონილ, კონსტრუირებულ შინაარს წარმოგვიდგენენ იმ გრძნობების, კონფლიქტების ან მოქმედებების სახით, რომლებიც ავტორის ფანტაზიისა და მისი ქმნილების - ტექსტის პოტენციალის გამოვლინებაა. ამრიგად, შეიძლება ლიტერატურული ტექსტების რიგს მივაკუთვნოთ როგორც გრიმების ზღაპრები ისე სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებები (Science-fiction-literatur). მაგრამ ეს ახსნა ვეღარ იმუშავებს მაგ. ისეთი მოთხრობების მიმართ როგორც არის ავტობიოგრაფიული განცდები, რომლებიც შემდგომ ლიტერატურულად გადამუშავდა. გოეთემ თავის ცხოვრების რეტროსპექციას დაარქვა Dichtung und Wahrheit – ეს რასაკვირველია მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებია, მაგრამ როგორია მასში პოეზიისა და სინამდვილეს, სინამდვილესა და ლიტერატურას და კიდევ, სინამდვილესა და ჭეშმარიტებას შორის მიმართება? ის ფაქტი, რომ გოეთე თავისი წიგნის ჰამბურგულ გამოცემას არა თავის პოეტურ ნაწარმოებებს, არამედ ავტობიოგრაფიულ ნაწერებს მიაკუთვნებდა (Autobiographische Schriften), მაინცდამაინც ვერაფერს გვშველის იმის გარკვევაში თუ რომელ ჟანრს მიეკუთვნება ეს ნაწარმოები. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ვაიმარის გამოცემაში ეს ნაწარმოები მისი შემოქმედების (ლექსების, პოემების რომანებისა და დრამების გვერდით დგას ანუ მისი მხატვრული შემოქმედების ნაწილად განიხილება. რატომ? ამ ტექსტის “ფიქციონალური ნაწილი” (Dichtung – Erdichtung, Erfindung) არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე ის რასაც გოეთე ჭეშმარიტებას “Wahrheit”-ს უწოდებს. ორივე ნაწილი ამ ცხოვრებისეული ბიოგრაფიისა ერთიანდება მესამე ელემენტით, მედიუმით – ლიტერატურით როგორც შუამავლით, რომელიც ამ ავტობიოგრაფიაში თვით მოთხრობელი “მე”-ს პერსპექტივით განისაზღვრება (Perspektive des erzählenden Ich). არის თუ არა სინამდვილეში ეს “Ich” იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ისტორიული, ემპირიული პიროვნების იდენტური, არის ეს მის მიერ მართლაც განცდილი თუ გამოგონილი სამყარო, თუ სინამდვილეში ეს თვითსტილიზების და შელამაზების, თავისებური

ტყუილისა და თამაშის სამყარო- ვის შეუძლია ამის განსჯა? თუნდაც ეს სტილიზებისა და თვალთმაქცობის შედეგი იყოს- რა მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში ტყუილსა და მართალს? ეს “დიდი” ლიტერატურაა, და სახელდობრ ლიტერატურა ავტობიოგრაფიის ფორმაში.

ლიტერატურის გადასინჯვა, გადამოწმება იმის მიხედვით, თუ რა შეესაბამება “სიმართლეს” ან რეალობას – მეტად სათუო საქმე იქნებოდა. ერთი მხრივ “სინამდვილე” ან “ჭეშმარიტება” ცუდი მოწმეები გახლავან ლიტერატურის ჭეშმარიტი შინაარსისთვის, რადგან ამ მხრივ უსასრულოდ მრავალი “სინამდვილე” და “ჭეშმარიტება” არსებობს. მეორე მხრივ, გამართლებული იქნებოდა ამის საპირისპირო აზრის მტკიცებაც: ლიტერატურა თავის საკუთარ სინამდვილეს ქმნის და მას თავისი საკუთარი ჭეშმარიტება გააჩნია. იგი ამ თვისებას თითქოს იყოფს ხელოვნების სხვა დარგებთან: მუსიკა, მხატვრობა ფილმი. ამ სახეობების სინამდვილის გაზომვაც არ არის მარტივი ან შესაძლებელი მათი შინაარსის მიხედვით. მმაგრამ ამავე დროს ლიტერატურას გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სინამდვილის პროდუცირების, ჭეშმარიტების შექმნის კანონები.

ამისათვის კითხვას „რა არის ლიტერატურა? შეგვიძლია ვუპასუხოთ იმის ანალიზის გზით, რაც ლიტერატურას ლიტერატურად აქცევს. ეს არის: ტექსტის ფორმა, სტრუქტურა და მხტვრული ღირებულება.

3.2. ეს იყო მნიშვნელოვანი ასევე უდიდესი გერმანელი რომანტიკოსი პოეტის ფრიდრიჰ ფონ ჰარდენბერგისთვის (1772-1801), რომელიც თავის თავს (**Novalis**) ნოვალისს უწოდებდა. მან 1800 წელს დაწერა პატარა ტექსტი, რომელსაც *მონოლოგი / Monolog* უწოდა. ამ ტექსტში მან გამოხატა თავისი აზრები ენის შესახებ, რომელიც მუდამ რეალიზდება ლიტერატურულ ნაწარმოებში/ტექსტში.

ნოვალისი მიუთითებს ადამიანების „სასაცილო შეცდომაზე“ : “მათ ჰგონიათ ისინი თითქოს მხოლოდ საგნეზე საუბრობდნენ და ან კიდევ საგნების გამო, მაშინ როდესაც სწორედ ენისთვის არის ის თვისება დამახასიათებელი, რომ ენა მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს, ის მათემატიკური ფორმულებით იქცევა. ბგერები (და შესაბამისად ტექსტები) თვითონ წარმოადგენენ სამყაროს, ისინი მხოლოდ თავის თავს ეთამაშებიან, არაფერს გამოხატავენ გარდა თავიანთი საკუთარი ბუნებისა და სწორედ ამიტომაც არიან ასეთი ძლიერი გამოხატვის უნარის მქონე- სწორედ ამიტომ აირეკლება მათში საგანთა უცნაური მიმართებების თამაში: “Sie machen eine Welt für sich aus – **Sie spielen** nur mit sich selbst, drücken nichts als ihre wunderbare Natur aus, und eben darum sind sie ausdrucksvoll – eben darum spiegelt sich in ihnen das seltsame Verhältnißspiel der Dinge”.(Novalis, 1979, S.439).

სწორედ ნოვალისი მიუთითებს იმაზე, რომ ენასა და ლიტერატურაში საქმე საგნებს კი არ ეხება, არამედ მხოლოდ მიმართებებს, დამოკიდებულებებს საგნებს შორის. ის ხაზს უსვამს, რომ ენის სამყარო, და ეს რა თქმა უნდა პოეზიის სამყარო-თავისთავად თვითკმარ სამყაროს წარმოადგენს. აქაც ნოვალისი საუბრობს სიტყვათა თამაშზე მათემატიკური ფორმულების სამყაროსთან მიმართებაში. ენის და ლიტერატურის ავტონომიური სამყარო არ ასახავს რეალურ სამყაროს და მის კანონებს, არამედ მხოლოდ „საგანთა ურთიერთმიმართებების თამაშს“- სინამდვილის სტრუქტურებსა და რელაციებს, მიმართებებს და არა თვით საგნებს.

ნოვალისის პატარა ირონიული ტექსტი მიეკუთვნება ადრეული რომანტიზმის ესთეტიკურ თეორიას.

გერმანული კლასიკის (გოეთეს, შილერის) საწინააღმდეგოდ რომანტიკოსებმა განავითარეს ლიტერატურისა და ხელოვნების ავტონომიის თეორია, რომანის საკუთარი კანონიკური თეორია, რომელმაც საბოლოოდ რომანტიკული ლიტერატურული ფორმა განსაზღვრა. ჟურნალში “ათენეუმ” მათ გამოაცხადეს პოეზიისა და პოეტის თავისუფლება („თავნებობა“): „Willkür des Dichters“/შლეგელი/,

რომლის ძალითაც ლიტერატურის სამყაროს თავისი საკუთარი წესების მიხედვით უნდა ეარსება, საკუთარი, განუმეორებელი ხელოვნების თვითმყოფადი სინამდვილე შეექმნა: eigenständige Kunstwirklichkeit.

თამაშის ცნება, რომელიც თავის დროზე ნოვალისმა შემოიტანა, ამოსავალი გახდა ლიტერატურული ტექსტისთვის შემდგომ მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ეპოქებში.

მაგალითად, **სონეტი** (იტალიურიდან sonare = კეთილხმოვანება) წარმოადგენს ლექსის ფორმას, რომელიც დამახასიათებელი იყო ბაროკოს პერიოდის ლირიკისთვის. მაგრამ ის დღემდე აქტუალურ ფორმად დარჩა.

Das **Sonett** (aus dem Italienischen: sonare = "tönen, klingen") ist eine Gedicht-Form, die prägend ist für die Lyrik des Barock, aber auch bis in die Gegenwart immer wieder verwendet wird.

გერმანელი პოეტი გერჰარდ რუმი, მე-20 საუკუნის 70 წლებში სონეტზე როგორც ლექსის სახეობაზე ე.წ. ინტერტექსტუალური (ანუ უწინ არსებულ ტექსტებზე მინიშნებით) თამაშის გზით მხოლოდ სათაურით ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ლექსის ტექსტი სონეტია, ისე რომ ტექსტს ფაქტიურად ლირიკული შინაარსი არ აქვს, მაგრამ იგი ვიზუალური დიაგრამის სახით წარმოდგენილ სტრუქტურულ სქემაში სონეტის არსზე მინიშნებს, მის სახეობაზე რომელიც განპირობებულია მისი ფორმით, სადაც პირველი ორი სტროფი ოთხტაეპიანია ე.წ. Quartette(კვარტეტი), ბოლო ორი სტროფი კი სამტაეპიანი Terzetten. თუმცა ეს ლექსი გაუგებარი იქნება იმ მკითხველისთვის, ვისაც წინარე ცოდნა არ გააჩნია, ვისაც (მაგალითად შექსპირის ან რილკეს სონეტები) არ წაუკითხავს.

Sonett

erste strophe erste zeile
erste strophe zweite zeile
erste strophe dritte zeile
erste strophe vierte zeile

zweite strophe erste zeile
zweite strophe zweite zeile
zweite strophe dritte zeile
zweite strophe vierte zeile

dritte strophe erste zeile
dritte strophe zweite zeile
dritte strophe dritte zeile

vierte strophe erste zeile
vierte strophe zweite zeile
vierte strophe dritte zeile

(1970)

3.3. ტექსტის გაგება - ტექსტზე მუშაობა

თუ ლიტერატურულ ტექსტს ამგვარად ანუ „როგორც თავისთავად სამყაროს“ აღვიქვამთ, მაშინ საჭიროა გერმანისტმა შემდგომი ნაბჯი გადადგას „ტექსტის გაგებისაკენ“. მკითხველი თავის თავს აღიქვამს როგორც ტექსტის ავტორიტეტის, მისი ფორმის პირისპირ დარჩენილი. ტექსტის ავტორიტეტი თავის მხრივ პრეტენზიულ მოთხოვნებს აყენებს თვით კითხვის პროცესის მიმართ. ჩვენ ვკითხულობთ და ვსწავლობთ, იმისათვის რომ ტექსტი გავიგოთ. ე.ი. ჩვენ როგორც მკითხველები თავს ძალას ვატანთ რომ ტექსტისგან სასურველი ინფორმაცია, მოტივაცია, ბიძგი, გრძნობათა ღელვა, პროვოკაცია, სენსაცია, გართობა ან შოკი

მივიღოთ, მაგრამ თვით ტექსტსაც სურს რაღაც მნიშვნელოვანი თავისი რეციპიენტისგან – მას სურს, რომ ის მკითხველის მიერ გაგებულ იქნას.

ამისთვის კი ჩვენთვის უკვე ნაცნობი ტერმინი „ჰერმენევტიკა“ დამკვიდრდა. როგორც ვიცით ეს სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა. ჰერმესი იყო ბერძენი ღმერთების შიკრიკი. ის იყო მათი გადაწყვეტილებების განმცხადებელი, მას უნდა გარკვეული სიტყვების აზრი განემარტა უბრალო მოკვდავთათვის და მათთვის თარჯიმნობაც გაეწია. ბერძნული სიტყვა „hermeneuein“ ამის შესაბამისად ნიშნავს „ახსნას“, მაგრამ ამავე დროს ის ნიშნავს ასევე „გამოთქმას“, „წარმოთქმას“, „განმარტებას“ „გადმოთარგმნას“ და რაც მთავარია „გაგების სწავლებას, გაგების უნარის მინიჭებას“ ანუ ტექსტის ინტერპრეტაციას. ამრიგად, ტექსტის ინტერპრეტაცია სხვა არაფერია, თუ არა იმის ცდა, რომ „მიენდო ტექსტის თვითმყოფადობას“ - ანუ მას ყური დაუგდო, მისი საუბარი მოისმინო. მშობლედ ტექსტის ინტერპრეტაცია ნიშნავს უპირველესად ტექსტის გაგებას. სწორედ ამგვარად აღწერა ჰანს გეორგ გადამერმა, თანამედროვე ჰერმენევტიკის მეთოდის ერთერთმა უმნიშვნელოვანესმა წარმომადგენელმა, ტექსტის გაგების პროცესი წიგნში „Wahrheit und Methode“ – „ჭეშამრიტება/ სინამდვილე და მეთოდი“ (1960):

იმისათვის, რომ გაგების პროცესი აღიწეროს, ლიტ.ის თეორიაში გამოიყენება „ჰერმენევტიკული წრის“ ცნება. ეს ცნება, რომელიც ფაქტიურად მეტაფორას წარმოადგენს, არის გეომეტრიის ცნების ხატოვანი ტრანსფორმაცია (გადატანა)იმ საგანზე, რომელსაც ის აღწერს. გადამერის აზრით, „სინამდვილეში ჰერმენევტიკა იქიდან ამოდის რომ, შემეცნების სუბიექტი და ობიექტი ერთ წრეს განაპირობებენ, რადგან ორივე წარმოშობით ერთ გარკვეულ ისტორიულ და კულტურულ ტრადიციულ წრეს მიეკუთვნებიან, რომელიც ორთავეს აკავშირებს. ამ წრის ცირკულირება არასოდეს შეწყდება, რადგან თვით ცხოვრების პროცესთან არის დაკავშირებული, რომლიდანაც ის წარმოიშობა“

გადამერის ამ ფუძემდებლურმა ნაშრომმა „Wahrheit und Methode“ („ჭეშმარიტება და მეთოდი“) ჰერმენევტიკას შემეცნების პროცესის საბაზისო მეთოდის სტატუსი მიანიჭა არა მხოლოდ ფილოსოფიაში არამედ გერმანისტულ ფილოლოგიაში, ლიტერატურატმცოდნეობაში. ეს არ არის მხოლოდ გადამერის დამსახურება, არამედ ის სამეცნიერო ტრადიციას ემყარება, რომლის ფესვებიც მე-18 საუკუნეშია.

3.4. ჰერმენევტიკის დამაარსებელი იყო თეოლოგი და ფილოსოფოსი

Friedrich Schleiermacher - ფრიდრიჰ შლაიერმახერი (1768-1834). მან ჰერმენევტიკა განსაზღვრა როგორც გაგების სახელოვნო მოძღვრება „Kunrlehre des Verstehens“.

ფრიდრიხ დანიელ ერნსტ შლაიერმახერი

* 21.11.1768, ბრესლაუ, თანამედროვე ვროცლავი

† 12.02.1834, ბერლინი

ფრიდრიხ შლაიერმახერი იყო პირველი თეორეტიკოსი, რომელმაც მიზნად დაისახა ზოგადი ჰერმენევტიკის ჩამოყალიბება. ჰერმენევტიკას ის განმარტავდა როგორც „*სხვისი წერილობითი მეტყველების გაგების ხელოვნებას*“ (გვ. 65).

პროტესტანტული, განმანათლებლობის დროინდელი ჰერმენევტიკის შესაბამისად, შლაიერმახერი შემოიფარგლებოდა წერილობითი ტექსტის მნიშვნელობით/აზრით (sensus litteraris) და ქმნიდა მრავალგაზომილებიანი მნიშვნელობის ინტერპრეტაციის თეორიას. მან წინ წამოსწია ავტორის ინტენციის როლი ტექსტის მნიშვნელობის გაგებისთვის. ამისათვის შლაიერმახერი ერთმანეთისგან განასხვავებდა ინტერპრეტაციის ორ სახეს: *გრამატიკულსა და ფსიქოლოგიურს*.

შლაიერმახერის მიხედვით 1) *გრამატიკული ინტერპრეტაცია* გულისხმობს თითოეული სამეტყველო ერთეულის განმარტებას ენობრივი სისტემის ფარგლებში. შლაიერმახერი ჰერმენევტიკულ წრედ მიიჩნევს გრამატიკულ ინტერპრეტაციას ანუ მიმართებების განმარტებას სიტყვასა და წინადადებას შორის, წინადადებასა და აზრს შორის, აზრსა და მთლიან ტექსტს შორის. ერთი მხრივ, შლაიერმახერი ენობრივ ერთეულებს განმარტავს როგორც სისტემურ ანუ ზეინდივიდუალურ მოვლენას. მაგრამ მეორე მხრივ, ენის სისტემის ცალკეული ინდივიდუალური გამოყენების (სიტყვის ახლებური წარმოების, ახალი მეტაფორების/ენობრივი ხატების წარმოქმნის) შედეგად, სისტემა ინოვაციურ (ახალ) ცვლილებებს განიცდის. ენის ამ ტიპის განვითარება შლაიერმახერის მიხედვით ყველაზე მეტად

პოეზიისთვისაა დამახასიათებელი. პოეზია მისთვის არის „ენის ხელახლა შექმნა და მისი საზღვრების გაფართოება.“

2) ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის მიზანია ავტორის ინტენციის დადგენა, რადგან ტექსტი ამ სახის ინტერპრეტაციის დროს აღქმულია როგორც „ავტორის ცხოვრებისეული მომენტი“; / ტექსტი როგორც ავტორის სულიერი, ფსიქიკური არსებობის ნაწილი და ტექსტის მიმართება ავტორის მთლიან ფსიქიკურ კონსტიტუციასთან, მისი ცხოვრებისეული სიტუაციის კონტექსტთან. ამისთვის ინტერპრეტატორმა უნდა შეძლოს ტექსტის შექმნის/გენეზისის რეკონსტრუქცია. ის უნდა იცნობდეს პირობებს, წანამძღვრებს, სიტუაციას, რომლის ფონზეც ავტორი წერდა და იმ მიზეზებს, რამაც მას წერა აიძულა. მკითხველმა უნდა შეძლოს ავტორში „ჩასახლდეს“. მკითხველი ტექსტს უკეთესად გაიგებს, თუ ის ავტორის მთლიან შემოქმედებას იცნობს: ისევე როგორც, მაგალითად, ცალკეული სიტყვის სინტაქსური კონტექსტი სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში გვეხმარება.

დაბოლოს, შლაიერმახერი მოითხოვს, რომ ინტერპრეტატორს „ტექსტი ჯერ ისევე კარგად უნდა ესმოდეს როგორც ავტორს, ხოლო შემდეგ კი მასზე უკეთესად.“ (გვ. 96). ის დარწმუნებულია, რომ ტექსტის შესაფერისი ინტერპრეტაცია მხოლოდ იმ მკითხველისთვისაა შესაძლებელი, რომელიც ავტორთან გარკვეული სულიერი ნათესაობითა და დივინაციის (ინტუიციის) უნარით გამოირჩევა.

შლაიერმახერის ჰერმენევტიკის თეორიის შემეცნებითი მნიშვნელობა ენის, როგორც სისტემისა და ენის, როგორც ინდივიდუალური ქმედების ერთმანეთისგან გამიჯვნაში მდგომარეობს. ტექსტის პროდუქციისა და გაგების ენობრივი წინაპირობების წინა პლანზე წამოწევის გამო, რაც პოეტური მეტყველების ახლებური გაგების შესაძლებლობას იძლევა, შლაიერმახერი თანამედროვე ენისა და ლიტერატურის თეორიის წინამორბედად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

გაგება ყოველთვის ნათქვამის გაგებაა, ხოლო გაგებული ანუ ნათქვამი გრამატიკის ზოგად სტრუქტურებში ვლინდება - სწორედ ამის აღმოჩენაშია შლაიერმახერის დამსახურება. გაგება ყოველთვის ინდივიდუალური აქტია, რომელიც მისწრაფის ჯერ კიდევ გაუგებარის, უცხოს შეცნობისადმი. ასე იწყება ინტერპრეტაცია ანალიზის სხვადასხვა საფეხურებზე ტექსტის გრამატიკული და ფსიქოლოგიური რეკონსტრუქციით (იგულისხმება ინდივიდუალური მეტყველება).

სწორედ აქ არის ინტერპრეტაციის ცენტრი „დივინატორული“ ანუ ინტუიტიური პრინციპი, რომელიც ემყარება არა სუბიექტივისტურ შეხედულებას არამედ

გრამატიკას, ენის სტრუქტურას, ტექსტის შემადგენელ ერთეულებს. ეს პრინციპი შლაიერმახერის აზრით უნდა შეივსოს კომპარატიული (შედარებითი) პრინციპით, რაც გულისხმობს ლიტერატურული ტექსტების ერთმანეთთან შედარებას ან თუნდაც მათ შედარებას სხვა სახის (მაგ.პრაგმატიკულ) ტექსტებთან.

ამრიგად, შლაიერმახერის მიხედვით ლიტერატურული ჰერმენევტიკა მხოლოდ რეფლექსიის და რეცეფციის გარკვეულ სახეობას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი არის მოდელი ადამიანური პოზიციისა, რომელიც ვლინდება ლიტერატურული ტექსტის სამყაროს ენობრივ ხედვაში.

ამრიგად, ლიტერატურული ტექსტი მთლიანად სინამდვილის ენობრივ მონახაზს, ესკიზს წარმოადგენს, სიმბოლურ სამყაროს, რომელიც ფაქტობრივ განსაზღვრებას არ ემორჩილება. ხოლო მისი მთლიანობის გაგება მისი “მნიშვნელოვნების” (Bedeutsamkeit) გაგებით არის შესაძლებელი ანუ იმის გაგებით, თუ რა შინაარსობრივი, სემანტიკურ-სტილისტიკური დატვირთვა აქვს ამა თუ იმ მხატვრულ ტექსტს, რომელიც ენის გრამატიკულ სტრუქტურებს ეყრდნობა.

თვით ლიტერატურული ტექსტებისთვის ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია მათი მნიშვნელობის რედუცირება(შევიწროება)- დაყვანა ისტორიულ ე.ი. რეალურ შეტყობინებაზე, როგორც არის წერილის, მოხსენების, კანონისა და სხვა პრაგმატიკული ტექსტების ენა.

პირიქით, ლიტერატურული/პოეტური ტექსტი შესაძლოა ერთი შეხედვით რეალობას ასახავდეს, მაგრამ მას ენობრიობისთვის დამახასიათებელი ინჰერენტული (შინაგანად სპეციფიკურად ენობრივი) მრავალპლანოვანი ხასიათი აქვს, რომელიც გაგების მრავალგვარი სტრატეგიის საშუალებას იძლევა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰერმენევტიკა არის ინტერპრეტაციის ზოგადი თეორია და მეთოდი (იმანენტური ანუ ტექსტის შინაგანი ინტერპრეტაცია) და არა ცალკე მეცნიერება. ხოლო წანამძღვარი (პოსტულატი) არის ისტორიული ცნობიერება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ჰერმენევტიკული წრე იკვრება მთლიანობის მიმართებაში ნაწილთან და ნაწილის მიმართებაში მთლიანობასთან. ეს კი ჯერ კიდევ ანტიკური რიტორიკის (ტოპოსის) პრინციპებიდან მომდინარეობს: ნაწილების ანალიზი იძლევა საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა მთელის თავისებურებების შესახებ, მოვახდინოთ ტექსტის როგორც მთლიანობის ინტერპრეტაცია.

შლაიერმახერს თავისი ნათლად ჩამოყალიბებული ჰერმენევტიკული თეორია არასოდეს არ გამოუქვეყნებია. თუმცა მისი ხელნაწერი მემკვიდრეობა სათაურით *ჰერმენევტიკა და კრიტიკა განსაკუთრებით ახალ აღთქმასთან მიმართებაში* 1838 წელს გამოსცა მისცა მოსწავლემ ფრიდრიხ ლიუკემ.

ციტირებული ნაწარმოები:

- [Hermeneutik und Kritik mit besonderer Beziehung auf das Neue Testament.](#) Aus Schleiermachers handschriftlichem Nachlasse und nachgeschriebenen Vorlesungen hg. v. Friedrich Lücke (1838). (Nachdruck 1977)

შლაიერმახერის ჰერმენევტიკული თეორია ჰუმანიტარული მეცნიერებების ფუძემდებელმა ვილჰელმ დილთაიმ (1833-1919) აიტაცა და გააფართოვა. დილთაისთვის “ჰერმენევტიკული მეცნიერება“ იყო „წერილობითი ძეგლების განმარტების სახელოვნო მოძღვრება“ (Kunstlehre der Auslegung von Schriftdenkmalen). მათ ცენტრში დგას „გაგება“, რომელსაც დილთაი ხაზგასმით **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების „ახსნის“ საპირისპიროდ ხმარობს**. ამით ის დაუპირისპირდა თავისი დროის პოზიტივიზმს ანუ საბუნებისმეტყველო ფაქტების და მონაცემების კვლევას, რომლებიც **ემპირიულ დაკვირვებას ექვემდებარებოდნენ**. ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაციის აუცილებლობა განპირობებულია ტექსტის ენობრიობაზე (Sprachlichkeit) ორიენტაციით, რაც მის მრავალპლანოვან ხასიათს, მის მრავალშრეობრიობას ანუ მის ლიტერატურულობას (Litararizität) განაპირობებს.

ამრიგად, ლიტერატურული ტექსტი, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, თავისი არსით ფიქციონალურია- **fiktional/Fiktionalität** (ანუ ავტორის მიერ არის გამოგონილი) თავისი ბუნებით გამორიცხავს ფუნქციონალურობას **funktional/ Funktionalität** (ანუ

კონკრეტულ მიზანს) და შესაბამისად პრაგმატულობას (ანუ პრაქტიკულ დანიშნულებას კონკრეტულ სიტუაციასა თუ კონტექსტში).

ფუნქციონალური, პრაგმატული ტექსტი კი თავის მხრივ ერთმნიშვნელოვანია, პოეტურობის გამომრიცხველი და ინტერპრეტაციას კი არა, უფრო ანალიზს ექვემდებარება, ანალიზის ობიექტია.

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია კი ისევე უსასრულო შეიძლება იყოს როგორც წმინდა ტექსტების ეგზეგეტიკა (Auslegung), რომელიც საბოლოოდ შესაძლოა ერთ ევრისტიკულ(შემეცნებით) ან დიდაქტიკურ (აღმზრდელიობით) მნიშვნელობაზე დაიყვანებოდეს, თუმცა ის მხოლოდ ერთერთი იქნება მრავალ შესაძლებელ, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავ ინტერპრეტაციას შორის.

ტექსტი არის მთლიანობა, რომელსაც ინტერპრეტაცია გასაგებს ხდის, მაგრამ ეს ინტერპრეტაცია შეიძლება მხოლოდ ერთერთი ასპექტი იყოს სხვა შესაძლებელ ასპექტებს შორის. მაგალითად, ზღაპრის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია (ერთი მეცნიერების-ფსიქოლოგიის ფარგლებში) შეიძლება თავისებურად რედუქციონისტული ანუ მისი მნიშვნელობის შემზღვევლიც კი იყოს და ამრიგად ტენდენციური და მცდარიც, რადგან ის მთლიანობას ვერ მოიცავს, არამედ მხოლოდ ნაწილს, რადგან ამგვარი ინტერპრეტაცია ტექსტის ენაზე არ არის ორიენტირებული, არამედ მხოლოდ ფსიქოანალიზზე. ინტერპრეტაციის ნამდვილი თავგადასავალი იქ იწყება, როდესაც მე როგორც მკითხველი, მაგალითად, ტექსტის ინიციალურ(საწყის) წინადადებზე ვახდენ ჩემი ყურადღების და უნარის კონცენტრაციას, ისე რომ ტექსტის ამ ნაწილის მრავალმნიშვნელოვნება თანდათ გახსნას იწყებს. სწორედ ამ დროს იწყება ტექსტის გაგება. ასე ეფუძნება ჰერმენეტიკა ანუ გაგების მოძღვრება (Verstehenslehre) ენის რეფლექსიას, ტექსტის ენის სუბიექტურ აღქმას.